№1998 2013 წლის 19 დეკემბერი ქ. თბილისი

## ცალკეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების შესახებ

1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის $15^1$ მუხლის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე:

ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 750 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაიშაურები, „მთა ვარცლა“, საკადასტრო კოდი 71.62.47.451, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 11520 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი სადახლო, საკადასტრო კოდი

83.16.10.826, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

გ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 10434 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი სადახლო, საკადასტრო კოდი 83.16.10.825, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს მის კომპეტენციაში შემავალი შესაბამისი სარეგისტრაციო ქმედებების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელება.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**